

საქართველოს კანონი

„საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის
ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების
ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,
N11, 29.03.2005, მუხ. 72) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ყველა ის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულება, რომელიც
ლიცენზირებას ექვემდებარება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს
კანონის შესაბამისად, მაგრამ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს
კანონის ამოქმედებამდე არ ექვემდებარებოდა ლიცენზირებას და საქმიანობას
ახორციელებდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, აგრეთვე სახელმწიფოს 100%-
იანი წილით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირისა და საქართველოს
სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაფუძნებული
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსით, ჩაითვლება
ლიცენზირებულად.“;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი